

Diana Tkebuchava

<https://orcid.org/0000-0002-4337-3259>

Academic Research Coordinator

BRAMS Institute

TRACES OF A GEORGIAN SCIENTIST LOST IN FOREIGN LANDS

(Abstract)

KEYWORDS: Georgia, Russia, Conspiracy, Bagration, Chemistry, Galvanic Studies, Mihály Zichy

On 9 December 1832, the Georgian ‘castle fell from inside’ as usual. Courage failed Yasse Falavandishvili, the brother of the Public Governor of Tbilisi, and he betrayed his co-conspirators by giving the plot away to the de facto Viceroy of the Caucasus, Baron von Rosen.

Nicko Phalavandishvili was furious after receiving an unpleasant mail for breakfast: the delivered poem exposed the repressive policy of Tsarist Russia forcefully introduced to Georgia. It also revealed his brother Yasse as a traitor to the conspiring Georgian noblemen.

Surprisingly, and to the shame of the intelligence, the culprits were identified as 14-15-year-old high schoolers – the author of the satirical poem Nicholas Baratashvili and its distributor Peter Bagration. The juveniles escaped arrest but were sentenced to flogging in front of the family members. Prince Peter

fled to Saint Petersburg to avoid punishment and stayed at his great-aunt, Anna Bagration of Golitsyn.

In 1842, Peter Bagration became involved in physics and chemistry. In November of the same year, Prince Peter was awarded the Order of Saint Stanislaus 3rd degree ‘for success in galvanic studies’. In 1843, he published his first scientific research about the galvanic cell he created. The following significant work about the phenomenon that Bagration ‘detected during his galvanic experiments’ was soon also published abroad.

The opportunistic foreign scientists harboured in the Russian Academy of Sciences quickly realised the value of the Bagration research. Through them, as early as 1845, precious metals were processed in Europe and America using the method of Georgian scientist. But a historical injustice happened when the well-known Bagration method of obtaining gold was reintroduced to Russia half a century later, in 1894, as the MacArthur-Forrest cyanidation process – developed only in 1887.

ქართული მშენებლის უცხოეთში ჩაკარბული კვალი

საკვანძო სიტყვები: საქართველო, რუსეთი, შეთქმულება, ოქრო,
ქიმიკა, გალვანოპლასტიკა, ბაგრატიონი,
მეცნიერება, მიხაი ზინი

ქართული ციხე მუდამ „შიგნიდან ტყდებოდა“. ასე მოხდა 1832 წლის 9 დეკემბერსაც, როცა ახლა კარგად ცნობილი შეთქმულების¹ ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს, იასე ფალავანდიშვილს, რომელიც სახალხო გუბერნატორის ძმა იყო, ნერვებმა უმტყუნა და მთავარმართებელ ბარონ როზენს დაწვრილებით შეატყობინა შეთქმულების თაობაზე ყველაფერი, რაც იცოდა. არსებობს ვერსია, რომ იგი საკუთარ ძმას გაენდო და სწორედ ამ უკანასკნელმა გასცა შეთქმულება. თუმცა, ფაქტია, რომ საიდუმლო იასეს „დამსახურებით“ გამჟღავნდა და „ქართული აზრი ავღაბრის ყაზარმებში მოათავსეს“.²

აღშფოთებას ვერ ფარავდა თბილისის სახალხო გუბერნატორი ნიკო ფალავანდიშვილი. უამური „საჩუქარი“ მიართვეს დილის ფოსტით: მწვავე იყო სატირული ლექსის ყოველი სტრიქონი, დაუფარავად აშიშვლებდა მეფის რუსეთის მთავრობის დამორგუნველ პოლიტიკას საქართველოში. ამხელდა გუბერნატორის

ძმას, შეთქმულების გამცემ, მოღალატე იასე ფალავანდიშვილს.³

ყველას გასაოცრად და დაზვიერების სამარცხვინოდ, რომელმაც არცთუ ცოტა იწვალა „დამნაშავეთა“ გამოსაფლენად, სატირული ლექსის ავტორებიცა და გამავრცელებელნიც აღმოჩნდნენ 14-15 წლის გიმნაზიელი ბიჭები: ავტორი – ნიკოლოზ ბარათაშვილი, ხოლო გამავრცელებელი – პეტრე ბაგრატიონი, საქვეყნოდ ცნობილი მხედართმთავრის, პეტრე ბაგრატიონის ძმისწული და სეხნია.

როგორც არასრულწლოვანნი, ყმაწვილები არ დაუპატიმრებიათ. გადაწყდა, ისინი მშობლებისა და ახლობლების თანდასწრებით დაესაჯა ჯალათს, როზვის 25 დარტყმით.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახში ეს „საცირკო ატრაქციონი“ განსაკუთრებული სიმკაცრით გათამაშდა.⁴ ოღონდ, თავდაპირველი გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, მომავალი პოეტი არა ჯალათის, არამედ საკუთარი მამის, მელიტონის ხელით გაიროზგა.⁵

ახალგაზრდა პეტრე ბაგრატიონმა, მომავალი დიდებული პოეტის თანაკლასელმა და მეგობარმა, მწვავედ განიცადა თანატოლის შეურაცხყოფა. ხვალ თუ ზეგ იგივე ბედი ელოდა ბაგრატიონთა შთამომავალსაც. „უნდა გავიქცე!“ – ასეთი იყო დიდგვაროვანი მოზარდის გადაწყვეტილება, რასაც ოჯახმაც დაუჭირა მხარი.

წლების შემდეგ აკაკი წერეთელი გადმოგვცემს ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის მეგობრის, პეტრე ბაგრატიონის ნაამბობს: „ბარათაშვილის გაბედულ გალაშქრებას რუსული მონარქიის მსახურთა წინააღმდეგ და ყრმა პოეტის სასტიკად დასჯას: „ტფილისში

საახნაურო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან, პოეტი რომ იყო, და მისი ბრალიც იყო ჩემი რუსეთში ჩამოსვლა და კორპუსში გადასვლა. გამიგონია შაირებით დიდკაცების ლანძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი მეგობრები. ის წერდა და ჩვენ ვაგზავნიდით. როცა ფოსტალიონი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ შემოვეხვეოდით გარს, უცბად აუწევდით ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელაგა, და ჩავუდებდით ხოლმე ჩუმად ჩვენს გალექსილ წერილებს. ის რას მოიფიქრებდა, რომ ნახავდა ჩანთაში წერილებს? მიჰქონდა აღრესისამებრ. ერთი ალიაქოთი ატყდა ტფილისში! გამოძიება დაინიშნა. ბოლოს გაგვიგეს, დაგვიჭირეს და ბარათაშვილს ჰონორარად ოცდახუთი როზგი მიანიჭეს. ჩვენც იმდენივე გადაგვიწყვიტეს, მაგრამ მე გავიქეცი, გამოვედი სასწავლებლიდან. კორპუსში გამომგზავნეს და მას აქეთ აქა ვარ სამსახურში“.⁶

საბედისწერო 1932 წელს სასჯელის აცილების სურვილით პეტერბურგში გახიზნული ჭაბუკი პეტრე ბაგრატიონი პაპიდამ, ანა ბაგრატიონ-გოლიცინისამ შეიფარა.⁷

პაპიდის მცდელობის შედეგად, 1833 წლიდან პეტრე უკვე სამხედრო სასწავლებელშია გვარდიის პოდპროპორშიკებისა და კავალერიის იუნკრების სკოლაში. შემდეგ გადაიყვანეს იუნკრად ცხენოსანთა ესკადრონში. 1837 წელს მიიღო პრაპორშიკის წოდება, ხოლო სამი წლის შემდეგ – პოდპორუჩიკისა. ამავე წელს იგი დაინიშნა გვარდიის კორპუსის ინჟინერთა უფროსის ადიუტანტად.

1842 წლიდან პეტრე ბაგრატიონმა მუშაობა დაიწყო ფიზიკასა და ქიმიაში. ერთი წლის შემდეგ თავისი

პირველი სამეცნიერო შრომა გამოაქვეყნა მის მიერ შექმნილი გალვანური ელემენტის შესახებ. ამ ელემენტმა იმ დროს ფართო გავრცელება ჰპოვა და წარმატებით გამოიყენებოდა როგორც რუსეთში, ასევე ევროპისა და ამერიკის ქვეყნებშიც. უკვე 1842 წლის ნოემბერში პეტრე ბაგრატიონი დააჯილდოვეს სტანისლავის III ხარისხის ორდენით „გალვანურ მეცადინეობაში წარმატებისათვის“.

1844 წლის მარტის დასაწყისში პეტრე ბაგრატიონმა გალვანური ელექტრონების საშუალებით ყინულისაგან გაათავისუფლა კრონშტადტის ნავსადგური. გარდა იმისა, რომ ეს თავის დროზე ქართველი მეცნიერის უდიდესი გამარჯვება იყო, აღნიშნული ფაქტი დღესაც ცხოველ ინტერესს იწვევს: ჩრდილოეთის ნავსადგურების ყინულისაგან განთავისუფლება დღემდე არ ხერხდება და ამის გამო ბევრი ნავსადგური დაზამთრების შემდეგ უქმდება ყინულის ბუნებრივ გაქრობამდე, ანუ გვიან გაზაფხულამდე. სამწუხაროდ, პეტრე ბაგრატიონის მიერ ამ რთული ამოცანის გადაჭრის ტექნიკური მხარე არსადაა აღწერილი.

პეტრე ბაგრატიონის შემდეგი მნიშვნელოვანი აკადემიური ნაშრომი შეეხებოდა მოვლენას, რომელიც მეცნიერმა თავისი „გალვანური ცდების მსვლელობაში შენიშნა“.⁸ კერძოდ, რომ ოქრო სისხლის ყვითელ მარილში და კალიუმის ციანიდის ხსნარში მაშინაც კი იხსნება, როცა მასში დენი არ გადის. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენში ვკითხულობთ: „ოქროს გამხსნელად ქიმიკოსები მხოლოდ ერთ რეაქტივს ასახელებენ, ესაა აზოტქლორწყალბადმჟავა ანუ სამეფო წყალი. აილჰარდტ მიტშელრიხის (1794-1863) მითითებით, ოქრო იხსნება სელენის მჟავაშიც“.⁹ პეტრე ბაგრატიონი

ასე განმარტავდა საკუთარ ნააზრევს: „ჩემი ცდები მაფიქრებინებს, რომ წარმოქმნის მომენტში ციანწყალბადმჟავაც შეიცავს ამავე თვისებებს. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება იმის მტკიცება, რომ ამიერიდან კალიუმის ციანური მარილები ოქროს გამსხნელებს უნდა მივაკუთვნოთ და ამ მარილთა გამოყენებით ზუსტი ცდების წარმოების დროს ვერიდოთ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლების მოხმარებას“.¹⁰ მალე პეტრე ბაგრატიონის ეს შრომაც დაიბეჭდა საზღვარგარეთ, ლონდონსა და პარიზში.¹¹ მონოგრაფიის გამოქვეყნების წელს, 4 ივნისს პეტრე ბაგრატიონი დაქორწინდა ანა მარტინოვაზე (1823-1908). მათ ტყუბი გოგონები, ევგენია (1846-1903) და ელიზავეტა (1846-1868) შეეძინათ.¹²

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში მოკალათებულმა ბედისმაძიებელმა უცხოელმა მეცნიერებმა მსწრაფლ შეიგნეს პეტრე ბაგრატიონის შრომების ღირებულება და მათ საფუძველზე, უკვე 1845 წლიდან ევროპასა და ამერიკაში კეთილშობილი ლითონების დამუშავება ქართველი მეცნიერის მეთოდით წარმოებდა.

მოხდა ისტორიული უკუღმართობა და ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1894 წელს პეტრე ბაგრატიონის ცნობილი მეთოდი ოქროს მიღებისა რუსეთში მაკ-არტურისა და ძმები ფორესტების მეთოდის¹³ სახელწოდებით დაბრუნდა. ტახტზე ახლადასულ ნიკოლოზ II-ს სრულიად არ ესმოდა და არც აინტერესებდა ესა თუ ის მეცნიერული აღმოჩენა. ცხადია, არც ქართველი მეცნიერის პრიორიტეტისთვის ბრძოლით შეუწუხებია თავი. იმპერატორის მითითებით, 1897 წლიდან რუსეთის ქარხნებში დანერგეს „მარკ-არტურისა

და ძმები ფორესტების მეთოდი“, რომლის პატენტშიც უამრავი თანხა გადაიხადეს.

ისტორიული სამართლიანობის აღდგენა დღემდე არ მომხდარა. მაკ-არტურსა და ფორესტებამდე დიდი ხნით ადრე, ქართველმა მეცნიერმა პეტრე ბაგრატიონმა შექმნა ფუნდამენტური ნაშრომები ოქროს დამუშავების ციანური მეთოდის თაობაზე. მან პირველმა აჩვენა ტუტე ციანიდებში ლითონური ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის გახსნა და პირველმა აღნიშნა, რომ გახსნის რეაქცია ჩქარდება ხნარის ჰაერთან შეხებისას. სწორედ პეტრე ბაგრატიონმა დაადგინა ტემპერატურის როლი რეაქციის მსვლელობაში და მან პირველმა შეამჩნია, რომ ლითონის ფარდობითი ზედაპირის ზრდა იწვევს გახსნის სიჩქარეს. მეთოდი ქართველმა მეცნიერმა შექმნა, ხოლო 45 წლის შემდეგ ამერიკელმა მაკ-არტურმა და ძმებმა ფორესტებმა პეტრე ბაგრატიონის მეთოდი პირველებმა დანერგეს წარმოებაში. მათ 1888-1890 წლებში სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიასა და ამერიკაში ააგეს ქარხნები, სადაც მსოფლიო ისტორიაში პირველად ოქროს დამუშავება სწორედ ბაგრატიონის მეთოდით წარმოებდა.¹⁴

1845 წლის 19 იანვრიდან პეტრე ბაგრატიონი დაინიშნა ნიკოლოზ I-ის სიძის, მაქსიმილიან ლაისტენბერგის ადიუტანტად და მასთან ერთად შეიდი წელი გაატარა, ძირითადად, ევროპაში. 1945 წელს ურალში იმოგზაურეს ერთად, საიდანაც მინერალების მოზრდილი კოლექციით დაბრუნდნენ. ურალში ახმატის მადაროების გეოლოგიური გათხრების დროს პეტრე ბაგრატიონმა კრისტალი იპოვა, რომელიც პეტერბურგში გაცნობილ ნიკოლოზ კოკშაროვს გადასცა. მანამდე

უცნობი ორტივის ნაირსახეობა სახელგანთქმულმა მინერალოგმა 1847 წელს შეისწავლა და პეტრე ბაგრატიონის პატივსაცემად, რომელმაც ეგზემპლარი აღმოაჩინა, „ბაგრატიონიტი“ უწოდა.¹⁵ მას შემდეგ, სწორედ ამ სახელითაა ცნობილი ქართველი მეცნიერის მიერ ნაპოვნი კრისტალი მსოფლიო ლიტერატურაში.¹⁶

აღსანიშნავია, რომ მაქსიმილიან ლაიხტენბერგის ადიუტანტად სანამ დანიშნავდნენ, პ. რ. ბაგრატიონი უკვე მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი იყო. საინტერესო ფაქტები ირკვევა 1845 წლიდან 1852 წლამდე, ევროპაში ლაიხტენბერგისა და ბაგრატიონის ერთობლივი მოღვაწეობის შედეგად: ამ პერიოდში შეწყდა პეტრე ბაგრატიონის შრომების გამოქვეყნება გაღვანურ დენებსა და მის გამოყენებაზე. სამაგიეროდ, მაქსიმილიან ლაიხტენბერგმა მოულოდნელად დაიწყო შრომების პუბლიკაცია გაღვანოპლასტიკაში და თან ცდილობდა, პრაქტიკაშიც დაენერგა. გაღვანური წესით მოოქროებისა და მოვერცხლის ფართოდ გამოყენების მიზნით, მან პეტერბურგში გაღვანოპლასტიკური ქარხანა გახსნა. თავისი მასწავლებლის, პეტრე ბაგრატიონის გვარს სამეცნიერო წრეში არსად ახსენებდა. სამაგიეროდ, მაშინ უკვე პოლკოვნიკის წოდებამინიჭებულ პეტრე ბაგრატიონს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში წარადგენდა სამხედრო ჯილდოზე.

„იმპერატორი ნიკოლოზ I თავის სიძეს (მაქსიმილიან ლაიხტენბერგს ცოლად ჰყავდა იმპერატორის ქალიშვილი მარია, დ.ტ.) სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ნიშნავდა. მაგალითად, მრავალი წელი იყო სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი იმის მიუხედავად, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების

განმავლობაში ერთხელაც არ სჭერია ხელში ფუნჯი“.¹⁷ აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ჰერცოგის საქმიანობა გალვანოპლასტიკის დარგში, უმთავრესად, პეტრე ბაგრატიონის ხარჯზე ხდებოდა. ლაიხტენბერგის მასწავლებლის კულუარული მოღვაწეობისა და ამის შესახებ დუმილის სანაცვლო კომპენსაცია რეგულარულად გაიცემოდა: 1865 წლის 30 აგვისტოს პეტრე ბაგრატიონს გენერალ-ლეიტენანტის, ხოლო 1868 წელს გენერალ-მაიორის წოდება და წმინდა ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენი მიანიჭეს. იმავე წელს დაინიშნა იმპერატორის ამაღლის უფროსად. 1869 წელს „თეთრი არწივის“, ხოლო 1972 წელს წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენი გადასცეს.

პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად ჩასული ჭაბუკი აკაკი წერეთელი უფროსმა ძმამ (აკაკის უფროსი ძმა ილიკო იმავე ამაღლაში მსახურობდა, რომლის უფროსადაც ბაგრატიონი დანიშნეს) პეტრე ბაგრატიონს წარუდგინა. იმპერატორის ამაღლა იმ დროს ცარსკოე სელოში იყო დაბანაკებული.

ნაშუადღევს 2 საათზე ძმები პეტრე ბაგრატიონს ეწვივნენ. იგი მხიარულ გუნებაზე დაუხვდა სტუმრებს: იმპერატორის პატივსაცემად გამართულ შედღუხზე¹⁸ თავი ისახელეს ქართველმა ცხენოსნებმა: აბაშიძემ, ნაკაშიძემ, ამილახვარმა, ანდრონიკაშვილმა... ხელმწიფე-იმპერატორს სამჯერ მოუხსენებია მადლობა ქართველი გენერლისათვის, ხოლო ცხენზე მჯდომი აბაშიძის სურათის დახატვა უბრძანებია სასახლის გალერეაში ჩამოსაკიდად.

„ყველაფერს აქვს საზღვარი და ქართველის გაუკაცობასა და მხედრობას არც ჰქონია და არც ექნება!

ბევლ დროში ქართველები განთქმული იყვენ ცხენოსნობითაც ყველგან“;¹⁹ ამაყად ამბობს გენერალ-მაიორი: „დღევანდელ ქართველებსაც სისხლში აქვთ მამა-პაპური ღირსება, მაგრამ დრო რომ აღარ თხოულობს და უვარჯიშოდ არიან, ვეღარას ახერხებენ...“²⁰ სამშობლოს დაშორებული კაცის სევდიანი ღიმილი უკრთის თვალებში. ფართო შუბლზე მძიმე დღეთა ნაკვალევად გასწოლია ღრმა ნაოჭი.

გაკვირვებულია აკაკი: 26 წლის წინათ სამშობლოდან გადახვეწილი, ევროპული ბაკენბარდებითა და უცხოური ორდენებით მკერდდამშვენებული გენერალ-მაიორი ოდნავშესამნნევი აქცენტით ტკბილქართულობს. „განა ქართველი აღარა გგონივარ?“ – იცინის მასპინძელი, – „დიდი ხანია რუსეთში ვარ და ცოტა დამაგიწყდა, თორემ შენზე უკეთ ვიცოდი ქართული. შენ, როგორც იმერელი, უეჭველად იმერული კილოთი უკიდებ და მე კი წმინდა ქართული ვიცოდი...“²¹

1862-1868 წლებში პეტრე ბაგრატიონი ტვერის გუბერნიის მმართველად დანიშნეს, სადაც მოსახლეობისთვის სასარგებლო არაერთი სიახლე დანერგა.²² 1864 წელს გატარებული სასამართლო და თვითმმართველობის რეფორმების განხორციელების მიზნით, ახალი დაწესებულებები შექმნა. მფარველობდა ადგილობრივ საჯარო ბიბლიოთეკას და ზრუნავდა წიგნების გამრავალფეროვნებაზე.

1866 წელს შექმნა რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი პირველი საგუბერნიო მუზეუმი. ქალაქის თავის, ალექსეი გოლოვინის (1810-1871), ინიციატივას მხარი დაუჭირა და ყველანაირად შეუწყო ხელი ტვერში მიწაყრილის მშენებლობას საგაზაფხულო წყალდიდობისგან

მოსახლეობის დასაცავად. მისივე მონდომებით, რკინიგზის დამატებითი ხაზი გაიყვანეს ტვერის სადგურიდან მდინარე ვოლგამდე და სატელეგრაფო ხაზები – ტვერიდან სტარიცასა და რუჟეამდე. გარდა ამისა, ქალაქ ტვერში გაზის გარე განათებისა და წყალმომარაგების მიწების გაყვანასაც უხელმძღვანელა.

როცა 1868 წლის მარტში გუბერნატორი ტვერის რეგიონს ტოვებდა, ახალ თანამდებობაზე დანიშვნის გამო, ადგილობრივმა მიწათმფლობელებმა წერილობითი მადლობა გადაუხადეს მუდმივი მხარდაჭერისა და რეგიონზე გულწრფელი ზრუნვისათვის. მეტიც, პეტრე ბაგრატიონისადმი მადლიერების ნიშნად, ტვერის სამოქალაქო საზოგადოებამ ქალთა გიმნაზიასა და ბავშვთა თავშესაფარში პეტრე ბაგრატიონის სახელობის სტიპენდიები დააწესა, თან, ფული შეაგროვა და ამ თანხიდან შემოსული პროცენტებით დარიბთა შვილებს ხელობის შესწავლას უფინანსებდა ყოფილი გუბერნატორის სახელით.

1870 წლის 22 სექტემბერს პეტრე ბაგრატიონი ბალტიისპირეთის რეგიონების: ლიფლანდიის, კურლანდიისა და ესტლანდიის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს. ამ თანამდებობაზე მან შემდეგი ექვსი წელი გაატარა. აქაც მუდმივად ცდილობდა მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ზრუნავდა სახალხო განათლებაზე.

1874 წელს ბაგრატიონმა მოახერხა 900 ათასი მანეთი მიეღო ხელისუფლებისაგან რიგის ქრისტესშობის სახელობის საკათედრო ტაძრის²³ ასაგებად, რომელიც დღემდე ლატვიის უმთავრესი მართლმადიდებლური ტაძარია (მდებარეობს ქალაქ რიგაში, ბრივიბასის

ბულვარის 23-ში). ახალი ტაძრის აგებაზე მსჯელობა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს დაიწყო და მხოლოდ ასი წლის შემდეგ, პეტრე ბაგრატიონის უშუალო მონაწილეობითა და მხარდაჭერით განხორციელდა ეს გრანდიოზული პროექტი.²⁴ რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოპოვებული თანხით, ლიფლანდიის ქართველმა მმართველმა სხვა მართლმადიდებლური ეკლესიებიც გაარემონტა და საკუთარი სახელობის სტიპენდია დააწესა ქალაქ რიგის პოლიტექნიკური სასწავლებლის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის წარჩინებული მოწაფეებისათვის.

პეტრე ბაგრატიონი გამუდმებით ეხმარებოდა რიგის პოლიტექნიკურ სასწავლებელს (რომელიც შემდგომში რიგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა). ლატვიელი ისტორიკოსი, აკადემიკოსი იანის სტრადინში ქართველი საზოგადო მოღვაწის ლატვიური საქმიანობის შესახებ წერს: „სწორედ პეტრე რომანის ძე ბაგრატიონის შუამდგომლობისა და მის მიერ ორგანიზებული ფინანსთა მინისტრ რეიტერნის ვიზიტის წყალობით, 1875 წლიდან რიგის პოლიტექნიკურმა სასწავლებელმა მოიპოვა ყოველწლიური სახელმწიფო გრანტი 10 ათასი რუბლის ოდენობით... ბაგრატიონის მხარდაჭერით... აიგო პოლიტექნიკური სასწავლებლის მეორე კორპუსი“.²⁵ იმავე 1875 წელს, პეტრე ბაგრატიონის ბრძანებით, პოლიტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები ბალტიისპირეთის მხარის ტერიტორიაზე უფლებებით გაუთანაბრდნენ სანქტ-პეტერბურგის სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს. ამ ცვლილების წყალობით, მათ საშუალება მიეცათ, საჯარო სამსახურში თავიანთი სპეციალობით ემუშავათ.

ამას გარდა, პეტრე ბაგრატიონი პირადი სახსრებით ეხმარებოდა რიგის პოლიტექნიკურ სასწავლებელს: მას ლიტერატურითა და ტექნიკური აღჭურვილობით ამარაგებდა.

1876 წლის იანვარში პეტრე ბაგრატიონი სამსახურებრივი საქმეების გამო პეტერბურგში ჩავიდა, სადაც 17 რიცხვში მოულოდნელად გარდაიცვალა ასთმის შეტევისგან. იგი 20 იანვარს დაასაფლავეს პეტერბურგის აღდგომის ნოვოდევიჩის მონასტერში, სპეციალურად აგებულ სამლოცველო საძვალეში.

მეფის რუსეთის მმართველები არ აფასებდნენ გენერალ-მაიორ პეტრე ბაგრატიონს, როგორც მსოფლიო დონის მეცნიერს. არ შემოინახეს მისი არც მეცნიერული დამსახურება, არც პორტრეტი და არც საფლავი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა სრულიად მივიწყებული და, თითქოს, სამუდამოდ ჩაკარგული იყო ჯერ საიმპერატორო, შემდეგ – საბჭოთა თუ რუსეთის ფედერაციის არქივების დამტვერილ დოკუმენტებში, ფურცლებგადაყვითლებული წიგნების ძუნწ ჩანაწერებში.

ადრეული სიჭაბუკის წლებიდან სამშობლოს იძულებით მოწყვეტილი ქართველი მეცნიერის საფლავის კვალს ძლივს მიაგნეს სასაფლაოს გეგმის დახმარებით.²⁶ პეტრე ბაგრატიონის ეგვიპტე²⁷ განადგურებული დახვდათ, მარმარილოს დაფები – დანგრეული.

მეცნიერის ახალგაზრდობისდროინდელი პორტრეტი დიდი წვალეებით აღმოაჩინეს წიგნში «История государственной свиты».²⁸ 33-34 წლის პეტრე ბაგრატიონი საკავალერიო დივიზიონის ლეიბ-გვარდიის ოფიცერთა სურათებს შორის ერთ-ერთზე აღმოჩნდა. ეს ალბომი ქართველების დიდ მოამაგესა და მეგობარს, მიხაი ზიჩის 1852 წელს

შეუქმნია საიმპერატორო დაკვეთით,²⁹ რითაც კიდევ ერთი, მოულოდნელი საჩუქარი გაგვიკეთა გამოჩენილმა უნგრელმა მხატვარმა მთელს ჩვენს ერს. 25 წლის ზიჩის მიერ გუაშითა და აკვარელით შესრულებული პეტრე ბაგრატიონის პორტრეტი ამჟამად ერმიტაჟის ევროპული სახვითი ხელოვნების განყოფილებაში ინახება. აღწერისას მუხეუმის თანამშრომელს ლაკონიურად მიუწერია, ნახატი მოყვითალო, სქელ ქალაღდზეა დატანილიო.

ასევე მოგვეპოვება პეტრე ბაგრატიონის გვიანდელი ფოტოსურათიც,³⁰ რომელზეც აღნიშნულია, რომ იგი გადაიღო დენერმა და თავადის, დიმიტრი პეტრეს ძე ბაგრატიონის მფლობელობაშია.

დაბადებიდან საუკუნენახევრის შემდეგ, 1970-იან წლებში მოიკითხა მშობელმა ქვეყანამ ბედის უკუღმართობით და არა – საკუთარი სურვილით გადაკარგული შვილი. მოიკითხა და მშობლის გულთამხილადობით, უტყუარი აღდგოთი იგრძნო მის გარდასულ დღეთა ფასი და მნიშვნელობა. სიტყვა-სიტყვით, ნაბიჯ-ნაბიჯ შეაგროვა დვაწლმოსილი მეცნიერის დამსახურებანი. შეაგროვა და დღის სინათლეზე გამოიტანა.

ლიტერატურა □ References

1. გოზალიშვილი გიორგი (1935). 1832 წლის შეთქმულება (ტომი I). ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/430796/1/1832_Wlis_Shetchmuleba_1935_Tomi_I.pdf> // გოზალიშვილი გიორგი (1970). 1832 წლის შეთქმულება: წინასიტყვაობა, მასალები, კომენტარები (ტომი II). თბილისი: „მერანი“. Retrieved from

- <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/430805/1/1832_Wlis_Shetchmuleba_a_1970_Tomi_II.pdf> // გოზალიშვილი გიორგი (1976). 1832 წლის შეთქმულება (ტომი III). თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
2. ბარამია ლიდა (1951). 1832 წლის შეთქმულების შესახებ საქართველოში. Retrieved from <<https://www.scribd.com/document/386082708/5129-ლ-ბარამია-1832-წლის-შეთქმულების-შესახებ-საქართველოში>> // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ტ. XXIX, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, გვ. 21-36.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები (1973), ტომი 4. თბილისი.
4. სურგულაძე აკაკი (1968). ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა: ისტორიული ნარკვევი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/475141/1/NikolozBaratashvilisEpoqa_1968.pdf>
5. ინგოროყვა პავლე (1969), ნიკოლოზ ბარათაშვილი (მონოგრაფია), აგრეთვე, ნარკვევი: ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერებთან. თბილისი: „მერანი“.
6. ინგოროყვა პავლე (1983). ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი. თბილისი: „მერანი“.
7. სურგულაძე აკაკი (1980). ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან. თბილისი.
8. Renner, H., Schlamp, G., Hollmann, D., Lüscho, H.M., Tews, P., Rothaut, J., Dermann, K., etc. (15 September 2000). Gold, Gold Alloys, and Gold Compounds. *Ullmann's Encyclopedia of Industrial Chemistry*. Retrieved from <https://doi/10.1002/14356007.a12_499>
9. Britannica, The Editors of Encyclopaedia (24 August 2023). “Eilhardt Mitscherlich”. *Encyclopedia Britannica*. Retrieved from <[britannica.com/biography/Eilhardt-Mitscherlich](https://www.britannica.com/biography/Eilhardt-Mitscherlich)>
10. ცინცაძე გ. (2016). პეტრე ბაგრატიონი – გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა.
11. Bagration, P. (1845). Sur la priorite qui possedent les cyanures potassiques et ferro-potassiques de dissoudre les metaux. *Bulletin of the Peterburg Academy of Sciences*, No 3-6, London & Paris.
12. Большая российская энциклопедия 2004-2017 (2018). Багратион Петр Романович, Москва. Retrieved from <https://old.bigenc.ru/domestic_history/text/1844972>
13. Hoffmann, J. E. (2008, 7 February). “gold processing”. *Encyclopedia Britannica*. Retrieved from <[britannica.com/technology/gold-processing](https://www.britannica.com/technology/gold-processing)>

14. პარკაძე ვახტანგ (1967). გამოჩენილი ფიზიკოსები. თბილისი: „განათლება“, გვ. 214-215. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/472360/1/Gamochenili_Fizikosebi_1967.pdf>
15. იქვე, გვ. 216.
16. Brande, W.T. (Ed.), Cauvin, J. (Ed.), Cox, G.W. (Ed.) (1865). A dictionary of science, literature and art. 3 vols. p. 219.
17. პარკაძე ვახტანგ (1970). პეტრე ბაგრატიონი. თბილისი: „მეცნიერება“.
18. შედღუხი (თურქ. şadlık) –1. შეჯიბრი თოფის სროლაში; 2. თოფის ხშირი სახეიმო სროლა [იხ.: კაკალაძე ეთერ, ბერიძე ნინო (2002). სასკოლო ლიტერატურული ლექსიკონი-ცნობარი. ბათუმი: „ალიონი“]; 3. გურულების მიერ თოფებიდან ზალპით ჰაერში სადღესასწაულო (საკალანდო) სროლა (კონსტანტინე გვარამაძის ცნობით) [იხ.: ჩაველეშვილი კახა (16 ოქტომბერი, 2022). შედღუხი და წკაპი. გურიის მოამბე]. არასწორი ფორმები: შადღუხი და შადღუხი.
19. წერეთელი აკაკი (1894-1908). ჩემი თავგადასავალი. Retrieved from <<https://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/antholog/document/HASH0150f2e5e61149c9bb2a996c>>
20. იქვე.
21. პარკაძე ვახტანგ (1967). გამოჩენილი ფიზიკოსები. თბილისი: „განათლება“, გვ. 208. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/472360/1/Gamochenili_Fizikosebi_1967.pdf>
22. Половцов, А. А. (1896-1913). Русский биографический словарь. Санкт-Петербург: Имп. Рус. ист. о-во, Том 2: Багратион, князь Петр Романович, стр. 398-399. Retrieved from <<https://azbyka.ru/otechnik/Spravochniki/russkij-biograficheskij-slovar-tom-2/550>>
23. Гурин, Александр (2025). Рижский Кафедральный собор в честь Рождества Христова. *Русские Латвии*. Retrieved from <<http://www.russkije.lv/ru/lib/read/riga-cathedral.html>>
24. იქვე.
25. Гурин, Александр (2025). Пётр Багратион. *Русские Латвии*. Retrieved from <<https://www.russkije.lv/ru/lib/read/p-bagratiion.html>>
26. Воскресенский Новодевичий монастырь в Санкт-Петербурге. Retrieved from <<https://вноводевичий.рф>>
27. შებჭმრო (ბერძ. eukterion „სამლოცველო“) – 1. საუამნო, სამლოცველო; ეკლესიის სიახლოვეს აგებული ან ეკლესიას მიშენებული მცირე ნაგებობა სალოცავად [იხ.: არქიტექტურულ-განმარტებითი ლექსიკონი (2021), თბილისი]. „მცირე სამწირველო“

- (საბა) [იხ.: ორბელიანი სულხან-საბა (1991). ლექსიკონი ქართული (ორტომეული). ტომი I, თბილისი: „მერანი“, გვ. 233]; 2. ეკლესიას მიღგმული საგვარეულო აკლდამა, საძვალე [იხ.: არქიტექტურული ლექსიკონი <https://www.dzegebi.ge/leqsikoni/leqsikoni_e.html>]. არასწორი ფორმაა ეკვდერი [იხ.: ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი <<https://ice.tsu.ge/liv/ortograf.php>>].
28. Квадри, Виктор Викторович; Шенк, Владимир Константинович (1902-1914). Столетие Военного министерства: 1802-1902. Императорская Главная квартира. История Государевой свиты (В 4-х томах. Том 5: Приложения). Главный редактор генерал-лейтенант Д. А. Скалон, Санкт-Петербург: Типография Поставщиков Двора Его Императорского Величества Товарищества М. О. Вольф. Том 3: Царствование императора Николая I (1908). Retrieved from <<https://runivers.ru/bookreader/book457940/#page/1/mode/1up>>
 29. Волков, Сергей Владимирович (2009). *Генералитет Российской империи*. Энциклопедический словарь генералов и адмиралов от Петра I до Николая II. Том 1: А-К. Москва: Изд-во «Центрполиграф».
 30. Чернышов В. Д. (1996). Тверские губернаторы. Тверь: Тверское обл. книжно-журнальное издательство, Петр Романович Багратион, стр. 23-25.
 31. სურგულაძე აკაკი (2013). 1832 წლის შეთქმულება. თბილისი: „საქართველოს მაცნე“.
 32. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (1977). ტომი 2. თბილისი, გვ. 131.
 33. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (1986). ტომი 10. თბილისი, გვ. 704-705.
 34. პარკაძე ვახტანგ (1973). მსოფლიოს ფიზიკოსები (მონოგრაფია). თბილისი: „მეცნიერება“.
 35. Parkadze, Vakhtang (1970). Pierre Bagrationi: 150-e anniversaire de sa naissance. Traduit du russe par S. Goguibéridzé, rédacteur Thina Sardéladzé, Tbilissi: Metsniereba.
 36. Dana, J.D., Dana, E.S., Ford, W.E. (1906). The System of Mineralogy of James Dwight Dana, 1837-1868: Descriptive Mineralogy. Sixth Ed., London: J. Wiley & Sons, p. 522.